



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება №659

თბილისი

18. 08 2010

შპს „სუხიშვილის უნივერსიტეტის“
ლიცენზიაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-15 პუნქტის, მე-13 მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და 36-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეტანილ იქნას ცვლილება 2003 წლის 02 აპრილს გაცემულ უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის №030641206 ლიცენზიაში და ლიცენზიის მფლობელი იურიდიული პირის სახელწოდების ცვლილების თაობაზე უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში (რეესტრის №1206) ჩაიწეროს შემდეგი შინაარსის ტექსტი:
„2010 წლის 22 ივნისიდან შპს „სუხიშვილის უნივერსიტეტს“ შეეცვალა საფირმო სახელწოდება და ეწოდა შპს „სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი“;
2. დაევალოს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტს, ბრძანების დაინტერესებული პირისთვის გაცნობა კანონით დადგენილი წესით;
3. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ბრძანების განთავსება სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე;
4. დაევალოს ეკონომიკურ დეპარტამენტს ლიცენზიაში ცვლილების შეტანის თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნება საქართველოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში - „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6;
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი

აკაკი სეფერთელაძე